სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 55 (169) | სამშაბათი, 30 მაისი | 1944 წ.

პოლიტიკური მუშაობა საზაფხულო სწავლის პერიოდში

საზაფხულო საბრძოლო მომზადების გეგმები ითვალისწინებენ, რომ ქვედანაყოფებმა დროის დიდი ნაწილი უნდა გაატარონ ველზე, სასროლეთზე, მარშში, წყლის ზღუდეებზე, ე. ი. იქ, სადაც მეომარი იძენს აუცილებელ საბრძოლო თვისებებს, სადაც მას შესაძლებლობა აქვს ისწავლოს ისე მოქმედება, როგორც ეს საჭიროა ომში. ბუნებრივია, რომ ასეთ, ყაზარმის გარეშე პირობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა შეიქმნეს კიდევ უფრო აქტიური, საგნობრივი და მიმართული საბრძოლო მზადებაში წარმატებების მოპოვებისაკენ. სწორედ ამ სალაშქრო-საველე მდგომარეობაში, სადაც მეომარი ყოველ ნაბიჯზე ხვდება მოულოდნელ დაბრკოლებებს, უნდა ჟღერდეს აგიტატორის მხნე სიტყვა, განსაკუთრებით მაღლა უნდა იქნას დაყენებული კომუნისტებისა და კომკავშირლების მაორგანიზებელი როლი.

სამამულო ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო რთულია მდგომარეობა ბრძოლაში, მით უფრო აქტიური უნდა იყოს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ ვერ გახდა ყველა პოლიტმუშაკის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კანონი. ცოტა როდია შემთხვევები, როცა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ყაზარმაში.

საველე პირობებში პოლიტმუშაობას აქვს თავისი თავისებურება, თავისი სპეციფიკა. მაგალითად, ყაზარმაში, სადაც არის რადიო, სადაც თაროებზე მოაქვთ გაზეთები, უკანასკნელი ამბების პოპულარიზაცია არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს. საველე პირობებში კი, როცა ქვედანაყოფი მოქმედებს შორს, თავისი ბაზისაგან მოწყვეტილად, უკანასკნელ ამბებზე პირადი შემადგენლობისათვის ინფორმაციის გაწევა გაცილებით ძნელია. იმ ადამიანებს, რომლებიც მარშზე, ველად, ტაქტიკურ მეცადინეობაზე პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან, მოეთხოვებათ დიდი ოპერატიულობა, დამოუკიდებლობა და ინიციატივა.

მოკლე მიტინგები, ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრები, თავის დროზე გამოშვებული საბრძოლო ფურცლები — „ელვა ფურცლები" — [illegible] ეს და მასებზე პოლიტიკური ზემოქმედების სხვა ფორმები, რომლებმაც ფრონტზე გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, სრულყოფილად უნდა იქნას გამოყენებული თითოეულ ქვედანაყოფში, რაც [illegible] არ უნდა იმყოფებოდეს. აქ ლაპარაკია არა ამა თუ იმ ღონისძიების ფორმალურ ჩატარებაზე, არამედ მათ ხარისხზე, პრაქტიკულ მიზანშეწონილობასა და სარგებლიანობაზე. თუ მაგალითად მარშის დროს პოლიტმუშაობა ტარდება საერთოდ, სპეციფიური თავისებურებისაგან და მიმდინარე სწავლების ამოცანისაგან მოწყვეტით, ცხადია, რომ მისი პრაქტიკული სარგებლიანობა უმნიშვნელო იქნება. რათა უნდა პოლიტმუშაობა დიდ სარგებლობას მოიტანს და იგი განუყოფელი იყოს სასურველ შედეგს, საჭიროა ჩატარებული მიტინგი, ... გამოშვებული საბრძოლო ფურცელი, აგიტატორების საუბრები კონკრეტული იქნება და აუხსნიან მებრძოლებს მათ საბრძოლო ამოცანებს, მოაგონებენ მარშის დისციპლინაზე, მასზე, თუ როგორ მოვირგოთ ფეხსაცმელი ან საჭურველი, როგორ დავიცვათ წყლის სმის რეჟიმი, როგორ დავიჭიროთ თავი დასახლებულ პუნქტში და ა. შ.

საზაფხულო სწავლის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული მასზე, თუ რამდენად მიახლოებული იქნება იგი საბრძოლო მოქმედების რეალობასთან, როგორ იქნება ლიკვიდირებული პირობითობა, როგორ იქნებიან მებრძოლები გაწვრთნილნი გადალახონ სალაშქრო საბრძოლო ცხოვრების სიძნელეები. პოლიტიკური მუშაობა მიმართული უნდა იქნას ამ ამოცანების გადასაჭრელად.

ყოველ ნაწილში, ყოველ ქვედანაყოფში არიან ფრონტელები, რომელთაც აქვთ მდიდარი საბრძოლო გამოცდილება. ამ საბრძოლო აქტივის პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმა ყველა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა. ფრონტელის საუბარი, რომელიც შევსებული იქნება პირადი მაგალითით, საქმიანი რჩევა-დარიგებით, ბრძოლაში საჭირო ამა თუ იმ ილეთის ჩვენება უშუალოდ ველად, თხრობა წითელარმიელთა სიმამაცისა და ინიციატივის გამოჩენის საინტერესო მაგალითზე, ყველაფერი ეს პოლიტიკური მუშაობის სასარგებლო ფორმებია, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნან მარშსა და შესვენებაზე, საბრძოლო მოედანსა და პოლიგონზე, თავდაცვასა და შეტევაში.

საზაფხულო სწავლის პერიოდში ქვედანაყოფებს (მათ რიცხვში ნაწილებსაც) ხშირად მოუხდებათ დამოუკიდებელი მოქმედება, თავიანთი ბაზებიდან ხანგრძლივად მოწყვეტით. ეს მდგომარეობა აგრეთვე პოლიტორგანოებისაგან, პოლკებისა და ბატალიონების პარტპოლიტმუშაკებისაგანაც მოითხოვს განსაკუთრებულ მოქნილობასა და ოპერატიულობას. სადაც არ უნდა იყოს ასეული, ბატარეა, ესკადრონი,— ის ყოველთვის უნდა ღებულობდეს საჭირო დახმარებებს, შესაფერ ინფორმაციას, ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს. საჭიროა, რომ ხელმძღვანელი პარტპოლიტაპარატი დროის დიდ ნაწილს ატარებდეს არა კაბინეტში და ყაზარმებში, არამედ ველად, სასროლეთზე და პოლიგონზე, ე. ი. იქ, სადაც იმყოფებიან ქვედანაყოფები, სადაც სწყდება საბრძოლო სწავლების წარმატებები.

საპასუხისმგებლო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ქვედანაყოფში იდეურად და ორგანიზებულად განვამტკიცოთ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, ავამაღლოთ მათი აქტივობა, გამოვიმუშაოთ მათში იმის უნარი, რომ ყოველგვარ მდგომარეობაში დამოუკიდებლად შეასრულონ თავიანთი როლი, როგორც მეთაურის საიმედო დასაყრდენებმა და დამხმარეებმა. რაც უფრო სრული და აქტიური იქნება შინაპარტიული ცხოვრება თითოეული ასეულის პარტორგანიზაციაში, რაც უფრო მაღლა აიწევა თითოეული კომუნისტისა და კომკავშირლის ავანგარდული და მაორგანიზებელი როლი, მით უფრო აქტიური, საინტერესო და ნაყოფიერი იქნება პოლიტიკური მუშაობა, მით უფრო მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ ჩვენ საზაფხულო სწავლის პერიოდში.

კიევის ციხე-სიმაგრის გასაღები ქალაქ კიევს დაუბრუნდა

კიევი, 27 მაისი (საკდესი). წითელი არმიის დარტყმების გამო საბჭოთა უკრაინის დედაქალაქიდან უკან რომ იხევდნენ, გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ისტორიის მუზეუმიდან თან წაიღეს ძვირფასი რელიქვია — კიევის ციხე-სიმაგრის ნიკოლაევის კარის გასაღები, რომელიც 3 კილოგრამსა და 545 გრამს იწონის.

ქალაქ ტარნოპოლის გერმანელთა გარნიზონის განადგურების დროს უკრაინის 1-ლი ფრონტის ნაწილებმა წაართვეს ჰიტლერელ ჯარისკაცებს შესანიშნავი გასაღები. ამ დღეებში უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. ჟუკოვმა კიევში გამოგზავნა დელეგაცია, რომელმაც უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ეს რელიქვია და შემდეგი წერილი:

„ძვირფასო, საბჭოთა უკრაინის მთავრობის მეთაურო, გადმოგცემთ კიევის ციხე-სიმაგრის ნიკოლაევის კარის გასაღებს, რომელიც ჰიტლერელ მძარცველებმა წაიღეს თავისთან იმ დროს, როცა უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ბრძოლით აიღეს გერმანელთა გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი—ქალ. ტარნოპოლი.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა, რომლებიც ჩვენი ჯარების დარტყმის გამო თავზარდაცემულნი გარბოდნენ უკრაინის დედაქალაქიდან, თან წაიღეს ეს გასაღები კიევის ისტორიის მუზეუმიდან, სადაც უკრაინელი ხალხი ინახავდა მას 100-ზე მეტი წლის განმავლობაში.

გვარდიის 117-ე მსროლელი დივიზიის, გვარდიის 335-ე წითელდროშოვანი პოლკის მე-2 მსროლელი ბატალიონის მებრძოლებმა და მეთაურებმა—ტარნოპოლის გარშემორტყმული გარნიზონის მოსპობის მონაწილეებმა წაართვეს გერმანელებს ეს გასაღები და ფრონტის სამხედრო საბჭოს წარმოუდგინეს.

ვუბრუნებთ ისტორიულ გასაღებს ლეგენდარულ ჩვენს სახელოვან ქალაქ კიევს".

გასაღები გადაეცა კიევის ისტორიის მუზეუმს.

ფ. პ. გოლოვატიმ შეიძინა ახალი თვითმფრინავი წითელი არმიის საჩუქრად

სარატოვი, 26 მაისი (საკდესი). დღეს ფ. პ. გოლოვატი სარატოვს დაბრუნდა ქალაქ [illegible], სადაც მან ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში ახალი თვითმფრინავი შეიძინა წითელი არმიის საჩუქრად.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ფერაპონტე პეტრეს-ძემ სთქვა:

— ამხანაგმა სტალინმა დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა—ნება დამრთო შემეძინა უახლესი კონსტრუქციის ავიაგამანადგურებელი და პირადად გადამეცა იგი მაიორ ერემინისათვის. მე ახლახან ვიყავი ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში, სადაც შესანიშნავი თვითმფრინავი ამოვარჩიე. მოუთმენლად ველი შესაძლებლობას—გადავცე ჩემი საჩუქარი თანამემამულე სარატოველს, გვარდიის მაიორ ერემინს და მივცე მას მამობრივი დავალება—შური იძიოს ჩემი ვაჟის სტეფანესათვის, ჩემი ძმისშვილის ივანესათვის, რომლებიც გერმანელებმა აწამეს პოლტავშჩინაში, შური იძიოს მთელი იმ მწუხარებისა და წამებისათვის, რაც მოგვაყენეს ჰიტლერელმა დამპყრობლებმა.

რკინიგზელთა დაჯილდოება

საომარ პირობებში დამხადების საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვებულ რკინიგზელთა დიდ ჯგუფს, მათ შორის გზათა სახალხო კომისარიატის ქარხნის ხარატი ზ. დ. ზაალიშვილი—წითელი ვარსკვლავის ორდენით, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ა. ზ. კოლომიტოვი—მედლით „შრომითი მამაცობისათვის" და ი. დ. [illegible]—მედლით „შრომითი წარჩინებისათვის".

ინჟინერ ილია გრიგოლის-ძე სარჯველაძის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური მშენებლობის დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მეტრომშენის, სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატისა და შინსახკომის მუშაკთა ჯგუფი. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ილია გრიგოლის-ძე სარჯველაძე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 მაისის ოპერატიულ ცნობიდან

29 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

28 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 38 თვითმფრინავი.

✽ ✽ ✽

ჩვენმა ავიაციამ მასირებულად დაარტყა მოწინააღმდეგის აეროდრომებს

დღეს დილით ჩვენმა ავიაციამ მასირებულად დაარტყა მოწინააღმდეგის აეროდრომებს ქალაქების რომანისა და ხუშის რაიონში (რუმინეთი). თავდასხმის მომენტში ამ აეროდრომებზე იმყოფებოდა გერმანელთა ბევრი თვითმფრინავი. ჩვენმა მფრინავებმა ჩაახშეს საზენიტო არტილერია და რამდენიმე მიფრენით ბომბებითა და ზარბაზან-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის სულ მცირე 60 თვითმფრინავი.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

✶ ✶

ქალაქ ლუცკის ჩრდილო-დასავლეთით ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა ჩვენს ქვედანაყოფზე. დიდი ზარალის ფასად გერმანელებმა მოახერხეს საბჭოთა თავდაცვის წინაპირს მიახლოებოდნენ და სანგრებში შემოჭრილიყვნენ. გაჩაღდა ხელჩართული შეტაკება. ამ დროს ბრძოლის ადგილს მიაღწია მეავტომატეთა ასეულმა კაპიტან გოლოვანოვის მეთაურობით და კონტრიერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. გერმანელებმა სანგრებში 40 გვამი და 70-ზე მეტი დაჭრილი ჯარისკაცი მიატოვეს და სასწრაფოდ უკან დაიხიეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ნაღმსატყორცნი, 6 ტყვიამფრქვევი და 52 შაშხანა.

• • •

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰიტლერელთა რაზმებმა სცადეს ბრძოლით დაზვერვა მოეხდინათ. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩვენმა ქვედანაყოფებმა მოწინააღმდეგე გაჰფანტეს. გერმანელებმა 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დატოვეს მოკლულის სახით, წაყვანილია ტყვეები.

• • •

ქალაქ [illegible] სამხრეთ-აღმოსავლეთით საჰაერო დაზვერვამ აღმოაჩინა მოწინააღმდეგის გადასასვლელი ერთ წყლის ზღუდეზე. საბჭოთა მფრინავებმა ბრძანება მიიღეს მოესპოთ ეს გადასასვლელი. ჩვენი მფრინავები ღამით მდინარესთან გამორთული მოტორებით მიფრინდნენ და ბომბების პირდაპირი მოხვედრებით გადასასვლელი დაანგრიეს. მოსპობილია გერმანელთა 10 ავტომანქანა, რომლებიც გადასასვლელის მახლობლად იმყოფებოდნენ.

• • •

28 მაისს გერმანელთა ოცდაათმა თვითმფრინავმა სცადა თავდასხმა მოეხდინა ერთ ჩვენს სამხედრო ობიექტზე ფინეთის ყურეში. საზენიტო არტილერიის ცეცხლით და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაგამანადგურებლების მიერ მტრის თვითმფრინავები გაფანტულ იქნენ. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა ხუთი ავიაგამანადგურებელი და ერთი ბომბდამშენი. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის ორი ბომბდამშენი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მისვლია.

საბჭოთა ოფიცრის ღირსების საფუძვლების შესახებ

გენერალ-მაიორი ი. ფომიჩენკო

* *

ჩვენს საარმიო პრესაში, პროპაგანდისტების ლექციებში და მოხსენებებში ცოტა ყურადღება როდი აქვს დათმობილი ოფიცერთა კადრების აღზრდის საკითხებს. ეს გასაგებიცაა. გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დღეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს წითელი არმიის ოფიცერი, რომელსაც საბჭოთა ხალხმა მიანდო თავისი ბედი.

მაგრამ ამ საკითხების გაშუქებისას ხშირად ეუფლებიან შეცდომას. ამას ადასტურებს წითელი არმიის ზოგიერთ ნაწილებში გავრცელებული სხვადასხვა სახელმძღვანელო დარიგებები და ხელნაწერი ბროშურები: „რჩევა-დარიგება ცხენოსანს“, „პრაქტიკული რჩევა-დარიგება ოფიცერს“, „ზოგიერთი რჩევა-დარიგება მეთაურის ყოფაქცევის შესახებ“ და სხვ. ამ ბროშურების ავტორებს ჩვენი ოფიცრის აღზრდის საკითხები დაჰყავთ ოფიცრის ყოფაქცევის ერთგვარ რეგლამენტის გამომუშავებამდე და ისინი გამოდიან „დამრიგებელთა“ და „მოწესრიგებელთა“ როლში, აწერენ მას ამა თუ იმ ქცევას და ცდილობენ ამ სფეროში მიაღწიონ ყოველგვარ „ალმოჩენას“.

წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ამხ. ა. ს. შჩერბაკოვმა თავის დირექტივაში აღნიშნა, რომ „ყველა ეს „სამახსოვრო“ და „რჩევა-დარიგება“, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ წითელი არმიის ოფიცრის ყოფაქცევის ნორმებზე, მის მორალისა და ეთიკის განსაზღვრის უფლებაზე, ხშირად ეწევიან საბჭოთა ოფიცრის მორალურ-პოლიტიკურ თვისებებზე ისეთ შეხედულებათა პროპაგანდას, რაც უცხოა წითელი არმიისათვის. სხვადასხვა „სამახსოვროთა“ და „რჩევა-დარიგებათა“ შემდგენელებს ხელიდან ეს გაუგებიათ, — ნათქვამია დირექტივაში, — რომ საბჭოთა ოფიცრის მეომრული ზრდილობისა და ღირსების სრულყოფა საფუძვლის წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, სამშობლოს წინაშე მის მიერ საპასუხისმგებლო მოვალეობის სინიმუშოდ შესრულება, როგორც ამას მოითხოვს სამხედრო ფიცი და წითელი არმიის წესდებანი“.

ამგვარი „სამახსოვროებს“ და „რჩევა-დარიგებებს“ რომ ბოლო მოეღოთ და თავიდან აეცილოთ ოფიცერთა წრეს ასეთი ხალტურული გამოცემანი, საჭიროა პოლიტორგანოებმა მუდმივი კონტროლი განახორციელონ ოფიცერთა შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ პოლიტმუშაკთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ყოველდღიური მუშაობა მასებში.

მეომრული აღზრდისა და საბჭოთა ოფიცრის ღირსების საფუძვლები მოცემულია ლენინ-სტალინის მოძღვრებაში, სამხედრო ფიცში, წითელი არმიის წესდებებში, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომის დღეებში ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში, მოხსენებებსა და ბრძანებებში. და ჩვენი პოლიტმუშაკების, ყველა პროპაგანდისტისა და აგიტატორის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ლენინურ-სტალინური მოძღვრების საფუძველზე, მუშაობის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით, ყოველდღიურად აღზარდონ ჩვენი ოფიცერთა კადრები **საბჭოთა ოფიცრის ღირსების** ღრმა სულისკვეთებით.

საბჭოთა ოფიცერი საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის პასუხისმგებელი წარმომადგენელია წითელ არმიაში. ამიტომ საბჭოთა ოფიცრის ღირსებას უნდა განსაზღვრავდნენ ის თვისებანი, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხის დეპუტატების მიმართ. საბჭოთა ოფიცერი თავის მუშაობაში არასოდეს არ უნდა დაიშვას პოლიტიკური ობივატელების დონემდე, იგი უნდა იყოს ნათელი და გარკვეული მოღვაწე, უშიშარი ბრძოლაში და შეუბრალებელი მტრების მიმართ. იგი უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი პანიკისაგან, ბრძენი და აუჩქარებელი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა ბლუსისა და მინუსის ყოველმხრივი გათვალისწინება. იგი უნდა იყოს მართალი და პატიოსანი და უსაზღვროდ უყვარდეს თავისი ხალხი.

საბჭოთა ოფიცერი საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტია, რუსი ხალხის, რუსეთის არმიის საუკეთესო საბრძოლო ტრადიციების მატარებელი. შეგნებულს უნარი გაიმართლოს საბჭოთა ხალხის ნდობა, მზად იყოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ბოლომდე თავდადებული იყოს მეომრული მოვალეობისადმი, ლენინ-სტალინის საქმისადმი — აი რა განსაზღვრავს საბჭოთა ოფიცრის ღირსებას.

საბჭოთა ოფიცრის ღირსების საქმეს წარმოადგენს მეომრული მოვალეობის შესრულება. **„გადაწყვეტილება მტრის განადგურების შესახებ,** — ნათქვამია წითელი არმიის ქვეითი ჯარის 1942 წლის საბრძოლო წესდებაში, — **უნდა იყოს ურყევი და ბოლომდე განხორციელებული. გამარჯვებისადმი მისწრაფება სულსა და გულში უნდა ჰქონდეს თითოეულ უფროსს. იგი ვალდებულია ეს მისწრაფება ჩაუნერგოს ყველა ხელქვეითს“.** და შემდეგ: **„თანაბარი ან ნაკლები ძალების კოლისას მოწინააღმდეგის გარშემორტყმა და განადგურება ჯარების ღირსების მაღალი ხელოვნების და გმირობის და მეთაურის მაღალი ხელოვნების საქმეს წარმოადგენს და იგი უმაღლეს მეომრულ გმირობათ უნდა ითვლებოდეს“.**

მეომრული მოვალეობის შესრულება მოითხოვს მაღალ მეომრულ ოსტატობას და ორგანიზებულობას, საბრძოლო ტექნიკის უნარიანად გამოყენებას და ადამიანებისათვის გონივრული ხელმძღვანელობის გაწევას. წითელარმიელს მოეთხოვება გმირობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მზად იყოს თავი გასწიროს, მაგრამ ბრძანება შეასრულოს; ოფიცერს უფრო მეტი მოეთხოვება — იგი უნდა იყოს ამ გმირობის სულისჩამდგმელი.

მეომრული მოვალეობის სანიმუშო შესრულება ამაღლებს საბჭოთა ოფიცრის ღირსებას და მოუპოვებს მას პატივსა და დიდებას. მთელი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიო იცნობს იმ გენერლებს და ოფიცრებს, რომელთა სახელმოხვეჭილობა აღნიშნულია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებებში. მათ დაიმსახურეს ამხანაგ სტალინის მადლობა გერმანელ დამპყრობთაგან საბჭოთა ქალაქების განთავისუფლებისათვის. არ არის იმაზე უფრო მაღალი ღირსება, ვიდრე ქებით აღნიშნავილი ამხანაგ სტალინის ბრძანებაში. თითოეულმა ოფიცერმა, რომელსაც სურს გახდეს ღირსი ასეთი მეომრული დიდებისა, უნდა მოიპოვოს იგი. სამშობლოს წინაშე თავისი მეომრული მოვალეობის ოსტატური შესრულებით.

საბჭოთა ოფიცრის განუყოფელ თვისებებს წარმოადგენს მამაცობა, სიმედგრე და მტკიცე ნებისყოფა, რომელიც თავის გამოხატულებას იმაში პოულობენ, რომ იგი იდგეს თავის მოწოდების სიმაღლეზე ომში, გაბედულად და მტკიცედ ახორციელებდეს ოპერაციის გეგმას, დროულად გამოჩნდეს იქ, სადაც სწყდება ბრძოლის ბედი. წითელი არმიის ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდება სწორედ ამ თვისებებს მოითხოვს საბჭოთა ოფიცრისაგან: **„მეთაური ვალდებულია,** — ნათქვამია წესდებაში, — **მუდამ აძლევდეს ხელქვეითს აქტიურობის, უსაზღვრო მამაცობის, თავდადების მაგალითს, გულადობის, გამძლეობის, გამჭრიახობისა და საზრიანობის მაგალითს, გამსაკუთრებით ბრძოლის უძნელეს წუთებში და ამით ხელი შეუწყოს საბრძოლო ამოცანის შესრულებას“.**

საბჭოთა ოფიცრის ღირსების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სიმართლე, პატიოსნება და სიცრუის შეურიგებლობა. ინფორმაციის სიმართლე და სიზუსტე საშუალებას აძლევს ზემდგომ უფროსს მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და უზრუნველყოს ბრძოლის წარმატება. საბჭოთა ოფიცერი პროფესიონალური მეომარია. მისი ღირსება მოითხოვს მეომრული ოსტატობის განუწყვეტლივ ამაღლებას, გულმოდგინე მუშაობას თავისი მეომრული ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის. იგი უნდა იყოს მოწინავე ადამიანი, სამხედრო საქმის ნოვატორი. საბჭოთა ოფიცერი, რომელიც ერთ წერტილზე გაიყინება, და მაშასადამე, ჩამორჩება სამხედრო საქმის პროგრესს, ცხადია, რომ ვერ შეასრულებს საბჭოთა ოფიცრის ღირსების ელემენტარულ მოთხოვნებს.

ოფიცრის მეომრული ოსტატობა დამოკიდებულია მის კულტურული და პოლიტიკური დონის მუდმივად ამაღლებაზე. საბჭოთა ოფიცერს არ შეუძლია იყოს სამხედრო საქმის ვიწრო სპეციალისტი. იგი ნოვატორია, განუწყვეტლივ აფართოებს თავისი პოლიტიკური ჰორიზონტი. წითელი არმიის ოფიცრის ხსოვნით ეხება სტალინური მითითებანი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი კადრებისათვის მარქსისტულ-ლენინურ განათლებას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საზოგადოების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება წარმოადგენს მეცნიერების იმ დარგს, რომლის ცოდნაც სავალდებულოა მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკისათვის.

საბჭოთა ოფიცერმა დაუღალავად უნდა იმუშაოს თავის მარქსისტულ-ლენინური განათლების გაღრმავებაზე. მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებლად წარმოუდგენელია ეს მუშაობა. „რასაკვირველია, დამატებითი დატვირთვა იქნება სპეციალისტ ბოლშევიკებისათვის, მაგრამ იგი ისეთი დატვირთვა იქნება, რომელიც შემდეგ ჭარბად აუნაზღაურდება“. (სტალინი).

ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ჩვენი ოფიცრების მარქსისტულ-ლენინურ განათლებას მათი პრაქტიკულ საბრძოლო მოქმედებისათვის.

თანამედროვე ომის ცეცხლში რომ გაიგო და იყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებისათვის ბრძოლების აქტიური, უნარიანი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, საჭიროა შეისწავლო და ცხოვრებაში გაატარო უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის მითითებანი, რომელნიც მოცემულია მის წიგნში „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, მის ბრძანებებსა და მოხსენებებში.

ოფიცრის საპასუხისმგებლო და სახელმწიფოებრივ მოვალეობას შეადგენს თავის ხელქვეითთა აღზრდა. ამიტომ მან არა მარტო თვითონ უნდა ისწავლოს, არამედ თავის ხელქვეითებსაც უნდა ასწავლოს, მათ უნდა მიაჩვიოს, რომ განუხრელად შეასრულონ სამხედრო ფიცი, სრულყოფილად შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გამოიყენონ თავიანთი საქმის ოსტატობა და შეებრძოლონ თავდადებულად ურჩხულ მტერს. მან დაუღალავად უნდა იზრუნოს წითელარმიელების კულტურულ და პოლიტიკურ აღზრდისათვის.

საბჭოთა ოფიცრის ღირსება მოითხოვს ნამდვილ ზრუნვას მებრძოლზე. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მსოფლიოში არსებულ ყველაზე უფრო ძვირფას კაპიტალს წარმოადგენს ადამიანები, კადრები. საბჭოთა ადამიანი ყველაზე უფრო ძვირფასია ჩვენი სამშობლოსათვის. მებრძოლზე ოფიცრის ზრუნვა უნდა ატარებდეს მრავალმხრივსა და ყოველდღიურ ხასიათს. იგი უნდა შეიცავდეს სამხედრო ცხოვრების ყველა დარგს ბრძოლაში, დასვენებაში, საბრძოლო სწავლაში და ა. შ. მაგალითად, როდესაც ოფიცერი ადგენს ბრძოლის გეგმას და იგი საბრძოლველში მოჰყავს, მან უნდა უზრუნველყოს ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა უმცირესი ზარალით. მებრძოლის სიცოცხლე შეუნარჩუნო — ნიშნავს, რომ აწარმოო ჯარების უნარიანი მანევრირება, მიაღწიო თითოეული მებრძოლის მაღალ საცეცხლო და ტაქტიკურ გაწვრთნილობას.

საბჭოთა ოფიცერმა უნდა იზრუნოს მებრძოლთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებზე, მათ ჯანმრთელობასა და კვებაზე. ჩვენი ქვეყანა ამარაგებს წითელ არმიას სურსათის საჭირო რაოდენობით. ოფიცერმა ნამდვილად უნდა მოაწყოს, რომ მებრძოლის საჭმელი მრავალფეროვანი და გემრიელი იყოს. ამისათვის კი საჭიროა, რომ თვითონ იგი ჩასწვდეს მებრძოლის ყოფაცხოვრებას. მან უნდა აინტერესებდეს, თუ როგორ მზადდება საჭმელი.

ყველა ამას ხშირად ივიწყებენ, როდესაც ლაპარაკს ლაწყებენ საბჭოთა ოფიცრის ღირსებაზე. ამავე დროს ოფიცრის რომელ ღირსებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ იგი სანიმუშოდ არ ასრულებს მეომრულ მოვალეობას, არ მიიღებს ყველა ზომას საბრძოლო ბრძანების შესრულებისათვის. მან შეიძლება საუკეთესო შეისწავლა ოფიცრის გარეგნული ტაქტის ყველა წესი, მაგრამ თუ იგი არ სრულყოფს თავის საბრძოლო ოსტატობას, არ ზრუნავს მებრძოლზე, მაშინ იგი ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომელნიც საფუძვლად უდევს საბჭოთა ოფიცრის ღირსებას.

დასასრულს, საბჭოთა ოფიცრის გარეგნობა და მის მიერ არასამსახურებრივ დროს ყოფაქცევის წესების დაცვა წარმოადგენს საბჭოთა ოფიცრის ღირსების განუყოფელ ელემენტს, რომელსაც ახასიათებს სიმკაცრე, კულტურული სიტყვა, თავაზიანობა, საბჭოთა ყოფაცხოვრების წესების დაცვა.

ჩვენი ოფიცრის მაღალი იდეურობა, გულმოდგინება, დისციპლინიანობა უნდა გამოვლინდეს მის კულტურულ სახეში, მოხდენილი გარეგნობით, რომელიც თავმდაბლობით, ისეთი ქცევით, რომელიც მოკლებულია ყოყოჩობას და ამპარტავნობას და რომელიც გამოხატავს საკუთარი ღირსების, როგორც წითელი არმიის ოფიცრის ღირსების გრძნობას.

ასეთია ჩვენი აზრით ზოგადად საბჭოთა ოფიცრის ღირსების საფუძვლები.

ფოტ.: ლეიტენანტ ხარიტონის ქვეგანაყოფი ნესვბროვისა [illegible] წინ მიდის [illegible] გადალახვისას.

მოწინავე ქვეგანაყოფში

— მშვიდობიან პირობებში ყოფნა მხოლოდ სწავლისათვის უნდა გამოვიყენოთ,—ხშირად ეტყვის ხოლმე თავის მებრძოლებს ამხ. ცხოიძე.—ხომ გაგიგონიათ გენიალური მხედართმთავრის სუვოროვის სიტყვები—ძნელია სწავლაში, ადვილია ბრძოლაში.

ასე უნერგავს ამხ. ცხოიძე მებრძოლებს საბჭოთა საქმის სიყვარულს. მართლაც, მისი ქვეგანაყოფის მებრძოლები საუკეთესოდ იცნობენ დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევს, ნაღმსატყორცნს, შაშხანა და სხვა იარაღებს. ამას წინათ საინსპექტორო შემოწმებაზე მისმა ქვეგანაყოფმა ბრძოლაში საუკეთესო შეფასება მიიღო და სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

როგორ მიაღწია ამხ. ცხოიძემ ასეთ წარმატებებს? პირველყოვლისა, იგი ინდივიდუალურად სწავლობს თავის მებრძოლებს, იცის თითოეულის ხასიათი, ოჯახური მდგომარეობა; იცის ვის როგორ უნდა მიუდგეს, რა დავალებები მისცეს. ქვეგანაყოფში ბევრმა მებრძოლმა არ იცოდა რუსული ენა. ამიტომ რუსულ ენაზე იარაღის მატერიალური ნაწილის სახელწოდების დამახსოვრება მებრძოლებს უძნელდებოდათ. ამხ. ცხოიძემ წესად შემოიღო უბის წიგნაკების ხმარება, სადაც მებრძოლები რუსულ—ქართულად იწერდნენ იარაღის ნაწილის სახელებს. მოკლე ხანში მდგომარეობა შეიცვალა. თუ ამდენხანს ქვეგანაყოფში ჩამორჩენილებიც ერივნენ, ახლა უკვე მათ წარმატებებზე ლაპარაკობენ. გარდა ამისა ამხ. ცხოიძე თავისუფალ საათებში დამატებით უხსნიდა მებრძოლებს სრულის ილეთებს.

ყოველივე ამან დიდი დახმარება გაუწია მას, რათა მებრძოლები მტკიცედ დაერაზმა თავის გარშემო, შეეძინა ავტორიტეტი და მათგან საერთო სიყვარული და პატივისცემა დაემსახურებინა. ამჟამად ამხ. ცხოიძის ქვეგანაყოფი ნაწილში მოწინავედ ითვლება.

სერჟანტი დ. ზამბახიძე

შედიან პარტიის რიგებში

სამამულო ომის ფრონტებზე ჩვენ კომუნისტები გვასწავლიდნენ მტრისადმი წინააღმდეგ ბრძოლას, ისინი [illegible] და [illegible] გვაჩვენებდნენ. სერჟანტი [illegible] ჩვენც გავხდეთ იმ პარტიის წევრი, რომელიც დიდმა ბელადმა ლენინმა და სტალინმა შექმნეს. დღეს ჩვენი სიტყვა და საქმე, როგორც კომუნისტებისა, [illegible] [illegible] [illegible].—ასე [illegible] ამ ქვეგანაყოფის მებრძოლებმა და სერჟანტებმა, რომლის პარტორგი არის ამხ. ლომერიძე.

მებრძოლებმა და სერჟანტებმა გელენიძემ, გოგოლაძემ, ჯანგაძემ, ქეიშვილმა, ნადირაშვილმა და სხვებმა განცხადებები შეიტანეს პარტბიუროში, რათა ისინი მიეღოთ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. ყველა ისინი სანიმუშო და მაღალკულტურის მოწინავეები [illegible].

ამას წინათ პარტიის რიგებში მიღებულ იქნა [illegible] [illegible] მონაწილე ამხ. გამსახურდია. იგი სწავლობს და [illegible] მოწინავე ამხანაგია.

უფროსი სერჟანტი ა. ბოლქვაძე

ბელადის ბრძანება—პარტიული მუშაობის ცენტრში

თბილისის მთავარსარდლის № 70 ბრძანების გამოქვეყნების პირველ დღიდანვე ჩვენი ბატალიონის პარტბიურომ შეადგინა ბრძანების შესწავლისა და პროპაგანდის დაწვრილებითი გეგმა.

ჩატარდა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი: მოეწყო პარტიული და კომკავშირული კრებები, პარტაქტივისა და ოფიცერთა შემადგენლობის თათბირები, აგიტატორთა სემინარული კრებები.

ჩვენ ფართოდ ვიყენებთ თვალსაჩინო აგიტაციას. ყველა ასეულში და ოცეულში გამოფენილია ვიტრინები, სადაც გამოკრულია № 70 ბრძანების სრული ტექსტი. კედლის გაზეთებისა და საბრძოლო ფურცლების ყოველი ნომერი მიუძღვნეს პირად შემადგენლობას შეისწავლონ და ცხოვრებაში განუხრელად გაატარონ ბელადის საბრძოლო მითითებები. რიგითი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები კედლის გაზეთის საშუალებით უზიარებენ ამხანაგებს თავიანთ გამოცდილებას ამ ისტორიული დოკუმენტის შესწავლისა და რეალიზაციის საქმეში.

მარტო ამ მასიური ფორმებით არ ამოიწურება პარტიული მუშაობა. ჩვენ ამოცანად დავისახეთ, რომ თითოეულმა რიგითმა მებრძოლმა, სერჟანტმა და ოფიცერმა პირადად წაიკითხოს სტალინური ბრძანება და გაიგოს თავისათვის პრაქტიკული დასკვნები საზაფხულო წვრთნების პერიოდში თავისი საბრძოლო ოსტატობის სრულყოფისათვის. ბრძანების შესწავლაში ამხანაგებს ლიდერობდნენ პარტბიუროს პოლიტიკურად ყველაზე უფრო მომზადებული კომუნისტები, [illegible] გამოყო კონსულტანტები, [illegible] ისინი სათანადო ლიტერატურით და მეთოდური რჩევებით.

კონსულტანტმა ოფიცრებმა გორგაძემ [illegible] და მიმინოშვილმა დაეხმარეს მებრძოლებს წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებათა შესახებ. [illegible] რუკის დახმარებით უჩვენეს მათ ბრძოლების ის ისტორიული ადგილები, სადაც წითელმა არმიამ ჰიტლერელები მოსპო და გაანადგურა ნაცისტური ურდოები. ამით რა გერმანიასთან და ჩეხოსლოვაკიასთან სახელმწიფო საზღვარზე წითელი არმიის გასვლისა და მისი რუმინეთის ტერიტორიაზე მოქმედების შესახებ, ვიგრძენით მებრძოლებს მოაგონა ამხანაგ მოლოტოვის განცხადება პრესის წარმომადგენლებთან და სსრ კავშირის მთავრობის, დიდი ბრიტანეთისა და ა. შ. შტატების განცხადება ჰიტლერული გერმანიის სატელიტების — უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ფინეთის მიმართ.

საბჭოთა ხალხის შრომითი წამატების შესახებ ზურგში, ჩვენს დიდ მოკავშირეებზე, ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკის რღვევაზე შინაარსიანი კონსულტაციები ჩაატარეს აგრეთვე კომუნისტებმა ტატუნაშვილმა, ქადაგიძემ, არაქელიანმა და როინმა.

რეგულარულად ტარდება კონსულტანტების, ძირეულ აგიტატორების, საბრძოლო ფურცლებისა და კედლის გაზეთების რედაქტორების საინსტრუქციო-მეთოდური თათბირები.

ჩვენი ბატალიონის მებრძოლთა ზოგიერთი ჯგუფი მოწყვეტილია ბატალიონის საერთო ადგილსამყოფელს. ჩვენ არც მათ ვივიწყებთ. მეთაურთან შეთანხმებით ამ ჯგუფებში მუშაობის ჩასატარებლად გავგზავნეთ კომუნისტები დრუცკოვი და ეკზეკოვი, მივეცით მათ სათანადო ლიტერატურა და დავავალეთ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების ახსნა-განმარტებისა და ტექსტუალური შესწავლის ორგანიზაცია.

ამრიგად ახლა ბატალიონის ყველა სამხედრო [illegible] გაცნობილია ბრძანების ტექსტს. მრავალმა ამხანაგმა, მაგალითად, ზემფიგემ, ჩევზოროვმა და [illegible] სწორედ—არა მარტო ტექსტუალურად შეითვისეს ბრძანება, მათ სათანადო კონსპექტიც კი შეადგინეს.

იმის გამო, რომ სტალინური დოკუმენტის პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ყურადღების ცენტრში დგას—თვალსაჩინოდ გაიზარდა კომუნისტებისა და მთელი პირადი შემადგენლობის აქტივობა, ამაღლდა დისციპლინა და ორგანიზებულობა ქვეგანაყოფის ცხოვრებასა და მებრძოლთა სწავლებაში.

ბატალიონის პარტორგი, უფროსი ლეიტენანტი ფ. სიდორენკო

ნიკო ლორთქიფანიძე

საქართველოს ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ნაძმე დაიტივა განიცადა 25 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი, მსახურებული პროზის [illegible] ნიკო ლორთქიფანიძე.

დიდია ნიკო ლორთქიფანიძის დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე. მან, როგორც მხატვარმა რეალისტმა, მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობით თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ჩვენი საბჭოთა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წელს, 17 სექტემბერს (ძველი სტილით) სოფელ ხუნევში (ქუთაისის რაიონი). პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ნიკო შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მაგრამ გიმნაზიის კურსი მან ქ. ოდესაში (ყოფილი ყლდგის) დაამთავრა, საიდანაც უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნიკო ლორთქიფანიძე გამსჭვალული იყო მოწინავე პროგრესული იდეებით. ამ იდეებს ის ქუთაისის გიმნაზიაში ყოფნის დროს, როცა გატაცებით კითხულობდა ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის წიგნებს.

ხარკოვის უნივერსიტეტში ყოფნის დროს სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში, ლეიბორისტების სოციალისტური დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის 1900–1902 წლებში ის ორჯერ იქნა გარიცხული უნივერსიტეტიდან. შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძე სწავლობს ლეიპციგის, სამთო აკადემიაში.

1907 წელს ნიკო ლორთქიფანიძე დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროიდან ის აქტიურად ებმება კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. იწყებს მუშაობას პედაგოგიურ ასპარეზზე. 1907 წლიდან 1912 წლამდე ნიკო ლორთქიფანიძე ასწავლიდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ამავე დროს, იგი, როგორც წევრი თბილისის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისა, თავდადებით მუშაობდა თეატრის—კულტურის ამ ერთ-ერთი კერის აღორძინებისათვის.

1912 წლიდან ნიკო ლორთქიფანიძე ქუთაისშია. იგი მოღვაწეობს მუშაობს ქუთაისის კლასიკურ და ქალთა გიმნაზიებში, ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებს ყოველგვარ საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში, თეატრალურ ცხოვრებაში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მისი თაოსნობით იმართება ლიტერატურული საღამოები.

აქტიურ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ნიკო ლორთქიფანიძე დაუღალავად განაგრძობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა ხელოვნების მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად, ამავე კავშირის თავმჯდომარედ, საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციის წევრად, „მნათობის" სარედაქციო კოლეგიის წევრად, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად და სხვ. 1928 წლიდან ნიკო ლორთქიფანიძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible] ინსტიტუტის ჯერ [illegible], ხოლო შემდეგ უფროს [illegible] გამგედ.

ნიკო ლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1902 წელს. ამ დროიდან, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ის დაუღალავად მუშაობდა მშობლიური ლიტერატურის აღორძინებისა და აყვავებისათვის.

მრავალფეროვანია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების თემატიკა. მას მხატვრული [illegible] არ გამორჩენია, არც ისტორიული თემები, არც ძველი სოფლის ცხოვრება, არც ის ღრმა პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ხდებოდა რევოლუციამდელ სოფელში და რომლებიც მკვეთრად გამოხატავდნენ ჩვენი ქვეყნის წარსულის ვითარებას. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობებში („რაინდები", „მოხუცი ბატონი", „ქალთა სიცილ" და სხვ.) მძაფრი რეალისტური სახეებით გამოხატულია რევოლუციამდელი საქართველოს თავადაზნაურობის სურათები, მისი დრომოჭმული ფსიქოლოგიური მართალი და დაუნდობელი მოტივები. წითელი ზოლივით გასდევს ნიკო ლორთქიფანიძის მთელ შემოქმედებას ამ [illegible]

ნახატი უ. ჯაფარიძისა.

* * *

მაზე მწერალმა მრავალი მოთხრობა, ნოველა, ესკიზი დაწერა, სადაც გამოხატული თავისი უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი.

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები „აბრაგის", „ძველი", „ბედნიერი მოსახლეობა ძეგლებში", „უბედური ხიდები", „ტრიფოლიო ცხენისთვის" და მრავალი მინიატურა ნათლად ავლენენ ქართული სოფლის კოლორიტულ სურათებს.

მოთხრობებისა „უფალქოდ", „პანიშვილი", ნიკო ლორთქიფანიძე ყოველთვის რჩებოდა ჯანსაღი რეალიზმის წარმომადგენლად, ძირითადად ის ერთგული იყო ქართული კლასიკური რეალიზმის ტრადიციებისა—ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის ლიტერატურული ტრადიციებისა. ამითვე ეს და ახსნა მისი რეალისტური სტილის მიმზიდველობაც, მისი ლაკონიზმი, სიმკვეთრე.

განსაკუთრებით ეხვა აღნიშნოს ნიკო ლორთქიფანიძის ვრცელი მოთხრობა „მიცვალებულთან ლაპარაკი", რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწერა. ამ ნაწარმოებში მწერალმა გვიჩვენა პირველი რევოლუციის სასტიკი ეპიზოდები, გვიჩვენა როგორ ჩაქოლეს ზღვრისმეული გლეხკაცობის რევოლუციური ამბოხებები, ავტორმა რა ... თუ ... ახალი, რევოლუციური მშრომელი ინტელიგენციის ტიპი. მოთხრობაში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სახე ახალგაზრდა ბოლშევიკი ინტელიგენტისა, რომელიც მშრომელი გლეხების წრიდან არის გამოსული.

ნიკო ლორთქიფანიძის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე კალამი არ დაუდევია ხელიდან. სულ ახლახან გამოქვეყნდა მისი მოთხრობა „ბუნებრივი წარსულიდან", რომელშიაც, ისევე როგორც მწერლის აღრინდელმა ნაწარმოებებმა, ლიტერატურული საზოგადოებრიობის და საბჭოთა მკითხველის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ნიკო ლორთქიფანიძე იყო თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის სახელოვანი წარმომადგენელი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდა მშობელი ქვეყნის აყვავებისა და წინსვლის საქმეს.

შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე, ს. შანშიაშვილი, ა. ხორავა, ა. აბაშელი, გ. კიღაძე, გ. ნატროშვილი, დ. შენგელაია, ბ. ჟღენტი, ი. გრიშაშვილი, ი. მოსაშვილი, ა. მაშაშვილი, პ. ინგოროყვა, გ. ჯიბლაძე, რ. ჯაფარიძე, ლ. ასათიანი, შ. მამალაძე, ს. კლდიაშვილი, ს. ეული, დ. ბენაშვილი, შ. აფხაიძე, შ. რადიანი, ა. ქუთათელი, ნ. ნაკაშიძე, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი, ა. ურიხაძე-ხოშტარია.

მწვერვალი ნარმატებით დაიპყრეს

ნაწილში ხშირად ტარდება სპეციალური ხასიათის საცხენო და [illegible] მთებში საბრძოლო მოქმედებათა შესახებ. მებრძოლები წარმატებით დაეუფლნენ სამთო ხელსაწყოების ხმარების წესებს.

ამას წინათ აქ მოეწყო ლაშქრობა მთის მწვერვალის დასაპყრობად, რომლის სიმაღლე 3.300 მეტრს უდრის. მოლაშქრეებს ძალიან ძნელი აღმართი დაუდგათ. მწვერვალი და მისი კალთები ნისლით იყო დაფარული. თოვლი და ყინვა ქარი მოლაშქრეებს შესვლის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ ნაწილის სამთო მომზადების უფროსის ლეიტენანტ [illegible] უნარიანი ხელმძღვანელობით 6 საათიანი ლაშქრობის შემდეგ მებრძოლებმა მწვერვალი დაიპყრეს და იქიდან ტყვიამფრქვევებიდან და შაშხანებიდან ცეცხლის გაშენებს აწარმოებდნენ.

ლაშქრობაში თავი გამოიჩინეს უფრ. ლეიტენანტ ოორქაის მეტყვიამფრქვევეებმა, ლეიტენანტ ცქიტიშვილის ნაღმსატყორცნელებმა და ლეიტენანტ სურმელაშვილის მსროლელებმა. ისინი მწვერვალზე მთელი საბრძოლო აღჭურვილობით ავიდნენ და დიდი გამძლეობა და მომზადება გამოიჩინეს.

ლეიტენანტი დ. უკლება.

კალენდარი

მაისი
30
ხამშაბათი

1918 წ.—გარდაიცვალა გ. ვ. პლეხანოვი, [illegible] მარქსისტი, დემოკრატი და სოციალისტი, [illegible] რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის და ხალხის პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. დაიბადა 1856 წელს.

1918 წ.—დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გ. ვ. პლეხანოვი

„შეუძლებელია შეგნებული კომუნისტად იქცეთ უამისოდ, თუ არ შეისწავლით—ყველაფერი, რაც [illegible] მარქსიზმის [illegible] საერთაშორისო ლიტერატურა".

ლენინი

რა არის ცა?

[illegible]

უძლეველი ძმობის დემონსტრაცია

საუბარი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ჩიქოვანთან

მოსკოვში ათი დღის განმავლობაში ტარდებოდა ქართული ლიტერატურის საღამოები. საქართველოს პოეტებისა და მწერლების ყოფნის [illegible] კულტურის მუშაკებთან, წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებთან ჩვენი დემონსტრაცია [illegible] საერთო ბრძოლის ერთიანობაზე.

[illegible] საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა განაცხადა:

— სამამულო ომის წლების განმავლობაში [illegible]

[illegible] უნდა აღინიშნოს ბელი პოეტების ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, [illegible] და სხვათა გამოსვლა, რომლებმაც ჩვენი ლექსები [illegible] საქართველოს საბჭოთა ხელოვნების [illegible] სახალხო არტისტმა გ. ი. კაჩალოვმა, რომელიც დიდი [illegible] ქართველი პოეტების ლექსებს.

საქართველოს შვილები ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა წარმომადგენლებთან [illegible]

[illegible]

[illegible] ჩვენი საღამოების წარმატების მიზეზი [illegible]

[illegible] გამგეობის მიწვევით ახლო ხანში მოსკოვიდან თბილისს გაემგზავრება რუსი პოეტების ჯგუფი საქართველოს პოეტების ნაწარმოებთა თარგმანზე ერთობლივი მუშაობისათვის. (საქინფო).

საზღვარგარეთ

მოკავშირეთა ჯარები რომიდან 16 მილზე იმყოფებიან

ლონდონი, 29 მაისი (საქინფო). რეიტერის სააგენტოს [illegible] კორესპონდენტი იუწყება, რომ მე-5 არმიის ნაწილები, რომლებიც [illegible] სამხრეთით უტევენ, ამჟამად რომიდან 16-ნახევარ მილზე იმყოფებიან.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ვინერ-ნოიშტადტზე

ლონდონი, 29 მაისი (საქინფო). [illegible] მოკავშირეთა ჯარების [illegible] იუწყება, რომ დღეს მოკავშირეთა [illegible] ჩრდილოეთით [illegible] თავდასხმა [illegible] აეროდრომებს. ზარალი ამისა, დაბომბეს [illegible] საავიაციო ქარხანა [illegible] (ვენის სამხრეთ-დასავლეთით). [illegible] მონაწილეობა მიიღო 750-მდე მძიმე ბომბდამშენმა.

იმავე დღეს „ლიბერატორის" მარკის ბომბდამშენებმა ორჯერ დაესხნენ თავს [illegible]

ბულგარეთში მთავრობის კრიზისი გრძელდება

სტამბოლი, 29 მაისი (საქინფო). [illegible] სააგენტო — გერმანიის [illegible] ბულგარეთის [illegible]

[illegible] გამოწვეული ბულგარეთის ხალხს იმაზე, რომ ის [illegible] ბულგარეთის [illegible] საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში.

ქართული მუსიკის საბოლოო საღამო მოსკოვში

27 მაისს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში შედგა ქართული მუსიკის საბოლოო საღამო. დამსწრეთა ყურადღების ცენტრში იყო კომპოზიტორების—[illegible], ტუსკიას კანტატა, რომელიც მიძღვნილია ამხანაგ სტალინისადმი. იგი შეასრულეს [illegible] სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, რესპუბლიკურმა რუსულმა საგუნდო კაპელამ და ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიურმა საგუნდო კაპელამ, თბილისის ოპერის სოლისტებმა—საქართველოს სახალხო არტისტებმა [illegible] [illegible] ღირსეულად დაამთავრა [illegible] კანტატის შესრულებამ მთელი დარბაზის [illegible] გამოიწვია. საბოლოო კონცერტში შესრულებულ იქნა აგრეთვე ქართველი კომპოზიტორების ცალკეული სიმფონიები და არიები ა. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან.

სახალხო შურისმგებელი

ბრძოლა ყირიმში დამთავრებულია. შეწყდა ქვემეხების გრიალი. დაწყნარდა არემარე, წყლში გაიმართნენ განაწამები ყირიმის მცხოვრებნი. გაზაფხულის ალერსიანი მზე ეფინება ყირიმის მთებს, ბაღებს, ზვრებს. ყირიმში ახალი ცხოვრება იწყება.

ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავისი ღვაწლი მიუძღვის პეტრე გვალიას პარტიზანებს.

* * *

პარტიზანთა სახელოვანი მეთაურის მამას, ტაგუ გვალიას გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაჭარებოვში ყველა იცნობს როგორც საუკეთესო კოლმეურნეს, პატიოსანს, შეგნებულ ადამიანს. ორი შვილი გაუზარდა ტაგუმ—პეტრე და ქორა. პეტრე ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი იყო, ჭკვიანი და თავაზიანი. ოცი წლისაც კი იყო, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი რომ დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ახალციხის რაიონში დანიშნეს სკოლის დირექტორად და ახალგაზრდა პედაგოგი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მაგრამ პეტრე სულ სხვაზე ოცნებობდა. მას სამხედრო სამსახური იტაცებდა. ორი-სამი თვეც არ უმსახურია მასწავლებლად და წითელი არმიის რიგებში შევიდა. პეტრე ლაინიშნა საარტილერიო ქვეგანაყოფში.

[illegible] ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთში თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლებში პეტრემ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო. ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, ნიჭიერი პოლიტიკური ხელმძღვანელი წინ მიუძღოდა მებრძოლებს საბჭოთა ქვეყნის საზღვრების უშიშროებისათვის ბრძოლებში. ის ქვეგანაყოფი, რომელშიც პეტრე გვალია იბრძოდა, ერთ-ერთი პირველთაგანი შეიჭრა ქალაქ ვიბორგში.

სამამულო ომი რომ დაიწყო, პეტრე გვალია, უკვე ბრძოლაგამოცდილი, დავაჟკაცებული მეომარი იყო. მას წილად ხვდა მონაწილეობა მიეღო ყირიმისათვის პირველ სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში.

წითელი არმიის დროებითი უკანდახევის დროს, 1942 წელს, პეტრე გვალია და მისი ამხანაგები გარემოცვაში მოჰყვნენ და მტრის ზურგიდან თავი ვერ დააღწიეს. მაგრამ საბჭოთა პატრიოტს ერთი წუთითაც არ დავიწყებია თავისი მოვალეობა. მან შემოიკრიბა გარემოცვაში დარჩენილი ქართველი ვაჟკაცები, შეადგინა პარტიზანული რაზმი და მედგრად ესხმოდა თავს აგაზნებულ მტერს მის ზურგში, ერთი წუთით არ აძლევდა მოსვენებას. გვალიას პარტიზანული რაზმი ნამდვილ რისხვად გადაიქცა მტრისათვის.

* * *

ტაგუ გვალიას თრივე ვაჟიშვილი ყირიმისათვის იბრძოდა. ქორა გვალიას შესახებ საფრონტო გაზეთები სწერდნენ, როგორც საუკეთესო მებრძოლზე. განსაკუთრებით გამოიჩინა მან თავი ქერჩისათვის პირველი გაათრებულ ბრძოლების დროს.

შემდეგ თითქმის ორი წლის განმავლობაში ვერაფერი გაიგო ტაგუმ შვილების შესახებ. წერილი აღარ მოსდიოდა. მოხუცი მამა ჯავრს გულში იმარხავდა და ფიქრობდა, ალბათ პარტიზანებად არიან და იქიდან აბა როგორ მოიწერებიანო.

1944 წლის გაზაფხულზე მიიღო პეტრეს წერილი. ვინ იცის, რამდენჯერ გადაიკითხა ტაგუმ ქაღალდის ნაჯერ [illegible] ლურჯი ფანქრით ნაწერი [illegible] რამდენიმე სიტყვა: „... [illegible] კარგად ვარ, ვპარტიზანობ, მიღწევები ბევრი გვაქვს, [illegible] იმ დროს, როცა ჩემი ოთხასკაციანი რაზმი ბრძოლაშია [illegible], იმედია მალე გნახავთ. მშვიდობით. თქვენი პეტრე. [illegible] გორის. 28/II.

მალე ტაგუმ [illegible] გაიგო, თუ როგორ გმირულად იბრძოდა მისი შვილი პარტიზანი პეტრე გვალია ყირიმის მიწაზე, როგორ ჟლეტდა სამაგიეროს ფაშისტ მტარვალებს, როგორ გმირულად დაეცა ერთ-ერთ ბრძოლაში. მან ისიც გაიგო, რომ პარტიზანებმა თავიანთ რაზმს პეტრე გვალიას სახელი დაარქვეს და შური იძიეს მეთაურის სიკვდილისათვის.

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს მამაცი სახალხო შურისმგებლის პეტრე ტაგუს-ძე გვალიას სახელს.

ნინო ილოშვილი

პ/მგ. რედაქტორი ი. ლაფაჩიძე
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი